

შპს ECOMIX

(ს/კ 406056440)

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი საქმიანობა.....	9
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	9
3. ფული და ფულის ექვივალენტები	13
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	14
6. ძირითადი საშუალებები	15
7. არამატერიალური აქტივები	16
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
9. საგადასახადო ვალდებულებები	17
10. სესხები.....	18
11. შემოსავალი.....	20
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	20
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	20
14. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	20
15. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა	20
მოიცავს საკურსო და კონვერტაციის სხვაობებს, რომელიც დეტალურად გაშიფრულია ქვემოთ:.....	20
16. იჯარა	21
17. კაპიტალი.....	21
18. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21
19. COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.....	21

შპს ECOMIX

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	1,508,801	1,401,827	1,420,445
არამატერიალური აქტივები	7	615	658	701
საინვესტიციო ქონება		-	-	-
		1,509,416	1,402,485	1,421,146
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	170,956	313,844	261,439
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	312,408	384,106	268,860
მარაგები	5	440,393	298,857	273,594
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-	-
		923,757	996,807	803,893
მთლიანი აქტივები		2,433,173	2,399,292	2,225,039
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,346,097	1,428,085	1,172,820
გადაფასების რეზერვი		270,409	270,409	270,409
		1,616,507	1,698,495	1,443,229
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	449,153	392,918	405,316
ანარიცხები		-	-	-

გადავადებული შემოსავალი		-	-	-
		449,153	392,918	405,316
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	169,200	115,466	155,538
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	172,494	153,324	181,054
საგადასახადო ვალდებულებები	9	25,819	39,089	39,902
გადასახდელი პროცენტი		-	-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
		367,513	307,879	376,494
მთლიანი ვალდებულებები		816,666	700,797	781,810
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,433,173	2,399,292	2,225,039


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

არმან ჰაკობიან

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი



აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი დანელია

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი

შპს ECOMIX

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
ამონაგები	11	3,936,729	4,211,607
თვითღირებულება	12	(2,484,415)	(2,594,183)
საერთო მოგება		1,452,314	1,617,424
სხვა შემოსავლები		36,036	31,334
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(593,849)	(719,499)
მიწოდების დანახარჯები	14	(438,001)	(335,803)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	(89,269)	(45,668)
სხვა ხარჯები		(35,965)	(23,023)
საოპერაციო მოგება		331,266.16	524,765
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(48,724)	(44,113)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(48,724)	(44,113)
მოგება დაბეგვრამდე		282,542	480,653
მოგების გადასახადი		(54,680)	(33,808)
წმინდა მოგება		227,862	446,844

სხვა სრული შემოსავალი:

შემოსულობა მიწისა და შენობების
გადაფასებიდან,
გადასახადების გამოკლებით

მთლიანი სრული შემოსავალი	227,862	446,844
---------------------------------	----------------	----------------


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

არმან ჰაკობიან

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი



დამსრულებელი დირექტორი

გიორგი დანელია

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი

შპს ECOMIX

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	-	270,409	1,172,820	1,443,229
წმინდა მოგება	-	-	446,844	446,844
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	446,844	446,844
გაცემული დივიდენდი	-	-	(191,579)	(191,579)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	270,409	1,428,085.30	1,698,495
წმინდა მოგება	-	-	227,862	227,862
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	227,862	227,862
გაცემული დივიდენდი	-	-	(309,851)	(309,851)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	270,409	1,346,097	1,616,507


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

არმან ჰაკობიან

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი



პრემიერ-დირექტორი

გიორგი დანელია

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი

შპს ECOMIX

ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

	31/12/2020	31/12/2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	227,862	446,844
<i>კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:</i>	342,669	261,375
- გადასახადები	54,680	33,808
- ცვეთა	149,804	137,786
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	193	-
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	89,269	45,668
- წმინდა ფინანსური ხარჯი	48,724	44,113
- დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	(71,922)	(177,714)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	70,923	(121,985)
- მარაგები	(141,536)	(25,263)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11,962	(29,652)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(13,270)	(813)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	498,610	530,505
- მიღებული პროცენტი	-	-
- გადახდილი პროცენტები	(48,724)	(44,113)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(54,680)	(33,808)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	395,206	452,585
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(267,622)	(119,125)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	10,694	-

წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(256,928)	(119,125)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა		
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	33,080	(88,472)
- გადახდილი დივიდენდები	(309,851)	(191,579)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(276,771)	(280,051)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(138,493)	53,409
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	313,844	261,439
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(4,395)	(1,004)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	170,956	313,844

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

არმან ჰაკობიან

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი



ადმინისტრაციული დირექტორი

გიორგი დანელია

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი

შპს ECOMIX

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

ECOMIX (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 17 ოქტომბერს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა წებო ცემენტის, ემულსიების, გრუნტების და საღებავების წარმოება და რეალიზაცია. წარმოების პროცესში კომპანია იყენებს როგორც ადგილობრივ ასევე იმპორტირებულ ნედლეულს. გასაღების ძირითადი ბაზარი არის საქართველო. წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება საკუთარი სადისტრიბუციო ქსელით.

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით	2020 წელი	2019 წელი
არმან ჰაკობიანი (სომხეთის რესპუბლიკა)	50%	50%
მიჰრან მეჰრაბიანი (სომხეთის რესპუბლიკა)	50%	50%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად. არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას. 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს, 2019 და 2020 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2020 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიამ 2019 წელს გამოიმუშავა 227862 ლარი წმინდა მოგება (2019 წელს 446844 ლარი) . 2020 წელს გაზრდილია ჯამური აქტივები, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ვალდებულებებს, როგორც ჯამურს ასევე მიმდინარეს. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიის ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

ამონაგების აღიარება

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ , როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით , ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოიცა და დამტკიცდა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შეძენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	5-20 წელი
მანქანა-დანადგარები	1-10 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-10 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითადი ნაწილი შეადგენს კომპანიის მიერ შეძენილ საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაციდა ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამონაგარიშებული თანხები ექვემდებარება საექვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 360 დრემდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როცა იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტიურად ყველა რისკისა და

ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	145,659	268,490
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	25,297	45,354
სულ	170,956	313,844

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	304,827	275,313
გადახდილი ავანსები	3,857	105,641
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე	-	-
სხვა მოთხოვნები	3,725	3,152
სულ	312,408	384,106

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეული და მასალები	403,915	275,759
დაუმთავრებელი წარმოება	36,479	23,098
მზა პროდუქცია	440,393	298,857
სულ		

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი იმშენებლობა	დაუმონტაჟებელი იმოწყობილობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	აგეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	148,920	10,069	1,650	798,669	619,887	25,599	140,406	1,745,200
შემოსავლა	-	5,071	61,219		167,083	2,255	72,673	308,301
გადაფასება	-	-						-
გასვლა	-		40,679		19,459			-
31 დეკემბერი 2020	148,920	15,140	22,190	798,669	767,511	27,855	213,079	1,993,363
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2019	-	-	-	58,233	221,305	16,491	47,345	343,374
პერიოდის ცვეთა				25,359	93,116	3,580	27,706	149,761
გასვლა					8,572			-
31 დეკემბერი 2020	-	-	-	83,592	305,848	20,071	75,051	484,562
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	148,920	10,069	1,650	740,436	398,583	9,108	93,061	1,401,827
31 დეკემბერი 2020	148,920	15,140	22,190	715,077	461,663	7,783	138,028	1,508,800

კომპანია აღრიცხავს ძირითად საშუალებებს თავიადღირებულებით. ცვეთის მეთოდი წრფივი

7. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2019	859	2,197	3,056
შემოსვლა		-	-
გადაფასება	-		-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	859	2,197	3,056
ამორტიზაცია და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2019	200	2,197	2,398
ამორტიზაცია	43		-
გასვლა			-
31 დეკემბერი 2020	243	2,197	2,441
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	658	-	658
31 დეკემბერი 2020	615	-	615

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	156,941	141,555
გადასახდელი ხელფასები	12,243	10,295
მიღებული ავანსები	3,310	1,301
სხვა მოკლ ვალდებულებები	-	174
სულ	172,494	153,324

9. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	293.50	-
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა	198.46	1,030.59
საშემოსავლო გადასახადები	3,060.75	2,617.15
დღგ	21,948.66	34,691.35
ქონების გადასახადი	1,587.00	1,640.00
სოციალური გადასახადი	(1,269.16)	(889.84)
სულ	25,819	39,089

10. სესხები

გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	სესხის თავდაპირველი ოდენობა	მიმდინარე პერიოდის სესხები	საპროცენტო განაკვეთი %	თანადავ ინანსება	აღების თარიღი	დაფარვის რიცხვი	ვალუტა	დეკემბერი 31, 2019	დეკემბერი 31, 2020
ბანკის სესხი N1			11%	8%	11/22/2016	11/22/2023	აშშ დოლარი	22,036	32228
ბანკის სესხი N2			11%	8%		9/19/2019	აშშ დოლარი		
ბანკის სესხი N3			10%	-		11/29/2020	აშშ დოლარი	12,265	0
ბანკის სესხი N4			18%		12/19/2019	03/25/2025	აშშ დოლარი	5,963	9823.97
ბანკის სესხი N5			8%		28/02/2020	28/05/2023	აშშ დოლარი		9587.25
სულ მიმდინარე სესხები								40,264	51,639
გრძელვადიანი სესხები									
ბანკის სესხი N1	185000		11%	8%	11/22/2016	11/22/2023	აშშ დოლარი	114,192	81964
ბანკის სესხი N2	30000		11%	8%	09/19/2017	9/19/2019	აშშ დოლარი		
ბანკის სესხი N3	45000		10%	-	11/29/2017	11/29/2020	აშშ დოლარი	2936.33	0
ბანკის სესხი N4	28850	29150	18%		12/19/2019	03/25/2025	აშშ დოლარი	19886.98	39,213
ბანკის სესხი N5		30000	8%		28/02/2020	28/05/2023	აშშ დოლარი		15,902
სულ გრძელვადიანი სესხები								137,015	137,079

ბანკის სესხი N1 - კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სესტემაში შემავალი სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს , საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ბანკს შორის 2015 წლის 30 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება #11- ის (სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში" ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მეწარმე სუბიექტის კრედიტით დაფინანსების თაობაზე) ფარგლებში.

კრედიტის მიზნობრიობა: სამშენებლო სამუშაოების დაფინანსება/ძირითადი საშუალებების შეძენა

პირობა : პოლი-ვინილ აცეტატის დისპრესიების (PVA) წარმოებაში წარმოების დაწყება, ბანკის მიერ პირველი ტრანშის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში.

თანადაფინანსება 8%

ბანკის სესხი N2- კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სესტემაში შემავალი სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს , საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ბანკს შორის 2015 წლის 30 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება #11- ის (სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში" ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მეწარმე სუბიექტის კრედიტით დაფინანსების თაობაზე) ფარგლებში.

კრედიტის მიზნობრიობა: სამშენებლო სამუშაოების დაფინანსება/ძირითადი საშუალებების შეძენა

პირობა : საბრუნავი საშუალებების დაფინანსება

თანადაფინანსება 8%

ბანკის სესხი N3 და N4

პირობა : საბრუნავი საშუალებების დაფინანსება

სესხების უზრუნველყოფა: მიწის ნაკვეთი, ავტომანქანები, დანადაგრები.

2018 წლის ნოემბერში N1 და N2 სესხებზე შემცირდა საპროცენტო განაკვეთები 8 % მდე.

11. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი შედგება მთლიანად საქონლის გაყიდვიდან მიღებული თანხებიდან

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს, საწარმოო პროცესში დასაქმებული თანამშრომლების ხელფასებს, ელექტრო ენერგიას და წყლის ხარჯს.

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების 40 % უკავშირდება გაცემულ შრომით ანაზღაურებას, ხოლო 25 % ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯს.

14. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

გაყიდვისა და მიწოდების ხარჯების 85 % უკავშირდება დანახარჯებს საწვავზე და რეალიზაციის თანამშრომლების შრომით ანაზღაურებას.

15. სხვა შემოსულობა/ზარალი - წმინდა

მოიცავს საკურსო და კონვერტაციის სხვაობებს, რომელიც დეტალურად

გაშიფრულია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	(4,395)	(1,004)
სავაჭრო მოთხოვნები	(776)	(6,739)
სავაჭრო ვალდებულებები	(7,208)	(1,923)
აღებული სესხები	(76,889)	(36,002)
სულ	(89,269)	(45,668)

16. იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფართი ოფისისათვის. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული იჯარები კლასიფიცირებულია როგორც ჩვეულებრივი იჯარა და იჯარის ფარგლებში გადახდილი გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

17. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან და გადაფასებს რეზერვისაგან.

18. სააგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სააგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას

19. COVID-19- ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

2020 წელს COVID 19 -პანდემიით გამოწვეული სახელმწიფო რეგულაციების გამო, საქართველოში მოქმედი კომპანიების უმრავლესობა დადგა ფუნქციონირებადი საწარმოს შეწყვეტის საფრთხის წინაშე. მიუხედავად ამისა კომპანიის საქმიანობისა და გასაყიდი საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოების შემოსავლები წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, ხოლო ძირითადი მომხმარებლები არ დამდგარან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე და არც მომავალში აქვს კომპანიას მსგავსი მოლოდინი.


დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

არმან ჰაკობიან

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი



დამსრულებელი დირექტორი

გიორგი დანელია

თბილისი, საქართველო

25 სექტემბერი 2021 წელი